სსდ საავტომობილო
გზების დეპარტამენტი

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 2 370 508
info@georoad.ge

03 ივნისი 2024

MRDI-RD N 2-03/7979

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
სახელმწიფო ქონების პრივატიზების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **ზურაბ წიქვაძეს**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2024 წლის 29 მაისის №6/29759 წერილი, რომელიც შეეხება ქალაქ მარნეულში, საერთაშორისო მნიშვნელობის **ფონიჭალა - მარნეული - გუგუთის (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი)** საავტომობილო გზის კმ25-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარცხენა მხარეს მდებარე 1648კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N83.02.13.607) განკარგვის საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი **არ არის წინააღმდეგი** მოხდეს მოცემული 1648კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ N83.02.13.607) იჯარის უფლებით გადაცემა საერთაშორისო მნიშვნელობის **ფონიჭალა - მარნეული - გუგუთის (სომხეთის რესპუბლიკის საზღვარი)** საავტომობილო გზის ღერძიდან **15** მეტრის ფარგლებს მიღმა, იმ პირობით, რომ მასზე არ განხორციელდება სამშენებლო სამუშაოები და საავტომობილო გზის ამ მონაკვეთის მოდერნიზაციის, რეკონსტრუქციის ან რეაბილიტაციის შემთხვევაში, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის პირველივე მოთხოვნისთანავე, აღნიშნული 1648კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N83.02.13.607) უსასყიდლოდ და ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დაუბრუნდება სახელმწიფოს.

პატივისცემით,

დავით გეწაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE •